

საპეპეტი

სოფელ-კვირპეტის ბაზეთი

ფასი ერთი შაური
 წლიური ფასი სამი მან.
 წელიწადი მეოთხე.

კვირა, 14 აგვისტო 1911 წელი

რედაქცია უძორჩილესად სთხოვს ხელის მომწერლებს და მ. მ. ბლახოჩინებს გაზეთის წლიური ფასი დროზე მაკვამელონ.

ყოველ-კვირულ გაზეთ

შინაური საქმეებზე

თადო—კაზაკის შესვლა № 17). და თბილისში კომპლექსიდან სამ. ხის პაზარში, სომხანტას შუშის მდებარე. გამოვა ყოველ თვეში ოთხი ნომერი, ბბ. ხელის მომწერლებს ეთხოვთ გაზეთის ფასი მიუღი წლის ერთად გამოგზავნონ.

წლიური ფასი: **3** მანეთი.

ნახ. წლი: **2** მანეთი.

ადრესი: ქუთაისი: „შინაური საქმეების“ რედაქცია.

შინაურია: 1) რა კვავდა?—იპ. ვართაგასია; 2) სინამდვილე სსსარებისა (გაგრძელება); 3) ილი-ოდორეს დღე სარატოვში—გაზ. შ. P.; 4) სიტ-ევა სარაჯიშე.—დეკ. ტინცაძის; 5) კვირიდამ-კვი-რამდე; 6) მასხუხად ქაჯუთელს (დასასრული)—(საე-კლესიო გავლობის შესახებ)—მეღ. ნაკაშიძის;

რა გვაკლია?

უველგან და უველესაკან ჭეშმარიტე-ბათ მიღებულია ის აზრ-დებულება, რომ ქრისტიანობა შეურეველ საფუძვლათ და-ედო თანამედროვე კაცობრიობის კულტუ-რა-ცივილიზაციას, რომ ის უძრეტი წუა-რო იყო უოველივე ჭუმანიურ და ხნეო-ბრივთ მაღალ ჰრინციპების. ქრისტიან-ობის მოწინააღმდეგენი და მტერნიც კი, უარისმყოფელნი მისი ხე ბუნებიურ წარ-მომობისა და დოღმატებისა, იძულებული არიან აღიარონ მისი დიდი განმანათლე-ბელი მნიშვნელობა კაცობრიობის ზღა-განვითარების საქმეში. აწი რა იქნება ვინ იცის, და დღემდის კი კაცობრიობას ვერ



შეუქმნია ისეთი კულტურა, რომელიც ქრისტიანულ კულტურაზე არა თუ მაღლა, თანასწორ და გვერდით მაინც იდგეს. უოველი თანამედროვე სხვადასხვა სახის და მიმართულების კულტურული დაწესებულება ან ინსტიტუტი, სელოვნების სხვადასხვა დარგი, რომელითაც თავი მოსწონს და ამაუბის თანამედროვე კაცობრიობა და რომლის წარმომადგენლები, შეგნებულათ ან შეუგნებლათაც, უარყოფენ ქრისტიანობასთან კავშირს, უნებლიეთ განიცდიან ქრისტიანობის წინააღმდეგობის აუცილებელ ზეგავლენას. თანამედროვე განათლებულ კაცობრიობის ცხოვრება მთლად გაქვნილია ქრისტიანული აზრ-შესხედულობით, სწავლებით და სწავლებით, საზოგადოთ ქრისტიანული სულით. იქაც კი შეამჩნევს დაკვირვებულ ადამიანს თვალის მის ქროლვა-მომძრაობას, სადაც ის წინააღმდეგობას აღწევს უარყოფილია, ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს თანამედროვე სოციალიზმი, მთლად დამკვირვებელი ქრისტიანულ წინააღმდეგობაზე და მის წინააღმდეგობა ჩასასულ-დაბადებული.

თანამედროვე ევროპულ ერების კულტურა-ცივილიზაცია ქრისტიანობასთან ერთად დაიწყო. უმთავრესი ცენტრები, ან კერა, განათლებისა, მომეტებულათ პირველ ხანებში, ევლგან საუდარ-მონასტრები იყო. უპირველესი და საუკეთესო წარმომადგენლები ამ განათლებისა საღვდლოება იყო. ამ საზოგადოთ უეჭველ ჭეშმარიტებათ მიღებულ დებულებას ვერ შეცვლის სოციალური ისტორიულათ ცნობილი საღვდლოების მოქმედების სამარცხეინო და სათავილო ფაქტები (ინკვიზი-

ცია, მეცნიერების და მისი წარმომადგენლების დევნა, ცხოვრების შესახებ პნელ-ასკეტიურ შესხედულობის ქადაგება-დამკვირება, ფანატიზმი და სხვა).

ჩვენშიაც ქრისტიანობის მიღება-დამკვიდრებას თან მოუვა განათლება-კულტურის დამკვიდრება.

ჩვენი ლიტერატურა თავდაპირველათ და უმთავრესათ სასულიერო იყო. ჩვენი პირველი მთარგმნელები და მერე ორიგინალური მწერლები ბევრი იყვნენ. ჩვენშიაც მონასტრებში ერთო უძრეტი და მოკამკამე ლამპარი ცოდნა-მეცნიერებისა, მოსწოდ თაობის აღზდა-განათლება; პედაგოგიური მეცნიერების გადმონერგვა; საღვთისმეტყველო, საფილოსოფიო და საბუნებისმეტყველო მეცნიერების შემუშავება: სელოვნების სხვადასხვა დარგის—მხატვრობისა, მუსიკის, პოეზიის — შექმნა-გავრცელება, —სუეველაფერი ეს ჩვენში მე XVIII საუკუნემდის უმთავრესათ ქრისტიანობის წარმომადგენლების ხელში იყო.

მართლაც ვინ იყვენ ჩვენი ლიტერატურის დამწეებ-დამფუძნებლები? — ბერები — სტეფანე, იოანე, მიქელი; ვინ იყვენ საუკეთესო მცოდნენი ქართული ენისა და შეუდარებელი მთარგმნელები? — იოანე, ექვთიმე, გიორგი მთაწმინდელი; ვისგან დაკურჩა საუკეთესო და იმეათი საუნჯე („საგალობელი“) მებთე საუკუნისა? — მიქელ მოდრეკილისგან. ვინ შეითვისა ზედმიწევნით აღმოსავლეთის ფილოსოფია და თითონ გახდა საუკეთესო თანამედროვე ფილოსოფოსათ? — იოანე პეტრიწელი. ვინ იყვენ წინდახედულები და სამაგალითო რეფორმატორები? ექვთიმე და გიორგი

მთაწმინდელისი ვინ უღვა სათავეში, ხალხისაგან და მეფეთაგან უადრეს ნდობა-ავტორიტეტით აღჭურვილი, სახელმწიფო საქმეებს, კერძოთ მხედრობას? ჭეონდიდლები. ვის ხელში იყო უმაღლესი სასწავლებლები საქართველოში? — ივალთოელების.. ერთი სიტყვით, ვინ ჩამოთვლის დაუვიწეარსა და უკვდავ ღვაწლს და შრომას ჩვენი საღვდელთებისას?!

სასულიერო წოდებამ კონკრეტულია ჩვენი საერთაშორისო უფლება-დამოკიდებულება. ვინ მომეტეულებათ მოკვირებულა სახელი ქრისტიანობრივ რაოდენობისა და მკუდრეკელ ქრისტეს აღმსარებლებისა. ვინ ხსენებთ მაც, თორნიკე ერისთავი და ზოგიერთი სხვა ბიზანტიის იმპერატორების ნდობით აღჭურვილნი, სასულიერო გმირ-მოღვაწენი! ვინ აქეზებდა მეფე-წარჩინებულთ ქრისტიანულ მოქმედებისათვის შინა და გარეთ? — საღვდელთება. სინა, იერუსალიმი, შავი მთა, ათო — ვინ მოყინა ქართულ მონასტერ-თავმესაფარებლებით? — საღვდელთება.

სამაგალითო მოქალაქობრიობა, ღრმა სიყვარული მამულისა სი და შეგნებული ეროვნული თვითცნობიერება ჩვენი ძველი სასულიერო წოდებისა ხომ უველასაგან ცნობილი და უჭკველი ფაქტია. სხვას რომ თავი დავანებოთ, ჩვენი ჭია-ღუასაგან მეტყუალ-დახრული გუჯრები და სიგელები, უღმობელ ღრმისაგან და ჩვენი უციცობისაგან დანგრულ-შეურაცხყოფილი საუღარ-მონასტრები და მათი კალაუ-

ხეი ხომ ხდასადღა მოკვირებისათვის მათ მამულიშვილურ და სამაგალითო მოღვაწეობას! ამას დაუმატეთ ის იმგიათი მოვლენაც მთელს მსოფლიო ისტორიაში, რომ ჩვენი სასულიერო წოდება არასდროს არ უოფილა ფანატროსი და კლერიკალური იდეებით გაყდენილი. ისეთი სერიოზული საეკლესიო ძირითადი რეფორმა, რომლის მსგავსმაც რუსეთში დიდი განსეთქილება და მწვალებლობა გამოიწვია, ჩვენში მე XI საუკუნეში მოხდა წინართ, თანხმობით, შეგნებულათ, ვინაიდან ჩვენში ნაკლებათ ივეენ ნიკიტა ჰესტოსვიატების და ღვდელი ლაზარესთანა უკიდურესი ფანატროსები.

ერთის სიტყვით, რითაც ჩვენ თავი მოკვაქეს და ვამაყობთ, რაც ამძვენებს ჩვენს და საზღვარ-გარეთელ მუსეუმებს და წიგნთსაცავებს და მეტყველობენ და მოწმობენ ჩვენ კულტურულ ისტორიულ წარსულზე, — სუეველაფერი ეს მომეტეულებათ საღვდელთების ნამაგარ-ნაღვაწეობა... ამის უარყოფა შეუძლებელია!

ასეთი მრავალმნიშვნელოვანი არიან საქმენი ჩვენი საღვდელთებისა! ასეთს მოწინავე და საამაუო ელემენტს წარმოადგენდა ის ძველ საქართველოში!

დღეს? — დღეს „აღარ არიან, აღარ იმან“ — აღარ გვევანან ნამდვილი ძველებური მოძღვარ-მასწავლებლნი. მე XIX საუკუნეში ჩავსვენა სამარეში სხივი წარსულის მათის დიდებისა. როგორც დანარჩენ ჩვენი ერის სხვა ელემენტს, მასაც დაეტეო დაღაჩრება. — დაწერილობანება. ეს

არის მას ხელიდგან დაუარდა, თუ კი ჯერაც—არ დაჯარდნია, სულიერ წინამძღოლ-ბეჭადის დროშა, თვითცნობიერების უქონლობა შური და შუღლი, მუხჯობა და საზოგადოთ კონებრივ-ზნეობრივი ჩამოქვეითება—ეს საერთო ქართველების სულიერი ავადმყოფობა—მისთვისებას შეადგენს. დღესდღეობით ის მეცნიერებას ჩამოშორდა; ქადაგება არ ეხერხება; მასწავლებლობას გაურბის; ეკლესია-მონასტრები არ აინტერესებს; დანაკრულს არ ქმამგობს; სულიერი სიმხნე—სიმღიერე, ქრისტიანული თავდადება და სიძარტლისთვის ტანჯვა-წამება მის ცხოვრებაში იშვიათი მოვლენაა.

იშვიათად, ძლიერ იშვიათად გამოაშუქებს ხოლმე და ისიც, რასაკვირველია, ნაკლები სიმღიერით თანამედროვე სასულიეროდ წოდებაში სული სასელოვან წინაპრებისა. უოვლადუსამღვდელოესი გაბრიელი თვისი მძლავრის კონებით სულიერი სიწმინდე-სიფაქიზით. შეურეველის რწმენით და შეგნებული და ქრისტიანულის პრინციპებით, კაცისკროვნებულია მამულიშვილურის კრძნობით; უოვლადუსამღვდელოესი აღექვსადრე თვისი გულკეთილობით, ეროვნული თვითცნობიერებით, კეთილის მოფლობით, საზოგადოთ სამშობლოსადმი, კერძოთ ეკლესია-მონასტრისადმი სიუვარულით, დეკანოზები—დ. მაჭავარიანი, თვისი მისიონერულ მოღვაწეობით და დ. დამბაშიძე თვისის იშვიათის სიმხსენიერებით,

მწიგნობრობით და შეუდრეკელის ხასიათით—საიმედო და სასურველს, მაგრამ სამწუხაროთ იშვიათს მოვლენას წარმოადგენენ ჩვენს ცხოვრებაში.

მხოლოდ, სამართლიანობა მოითხოვს ამასთან ისიც აღვნიშნოთ, რომ ამ წოდებაში, თუძვა მასაც ეტეობა უკან-სვლა-ჩამოქვეითება წინაპრებთან შედარებით, რაც უნდა იუოს უფრო წმინდათ დაცულია ჩვენი ეროვნული ზნე-ჩვეულება, ტრადიციები, ენა და ზნეობა. საღვდელოების ოჯახი დღეს-დღეობით საუკეთესო ოჯახია საქართველოში. ამ ოჯახში აღსდილა მე-XIX ს. შედარებით ბევრი შეგნებული და სასარგებლო ნამდვილი ქართველი.

აბ. გართავაძე

სინამდვილე სახარებისა.

(გაგრძელება *).

თუ იესო ქრისტეს გამოსვლა საზოგადო მსახურებად არის წმ შვიდეულის დასასრული, მაშასადამე ესევე არის დააწყისი უკანასკნელი შვიდეულისა, რადგან განცხადება არაფერ საზუთს არ იძლევა შვიდეულთა შორის რაიმე ხნის განმავლობა დავსდვათ. 27 მუხლში ნათქვამია: „და დასდებს აღთქმასა მრავალთათვის ერთი შვიდეული და საშუალ შვიდეულისა მოისპობა სხეერპლი და შესაწირავი“. ებრაელებმა ვერ იცვენეს თვისი მესია, ჯვარს აცვეს იგი და მოჰკლეს, ამიტომ ღმერთმა უარყო იგინი; იესოს სიკვდილმა მოსპო კავშირი ღმერთსა და ისრაელს შორის; იესო ქრისტეს სიკვდილის შემდეგ ძველი აღთქმის ღვთის მსახურებამ, სხეერპლმა და შესაწირავმა, დაკარ-

*) იხ. „შინ. საქ.“ № 23.

გა თავის მნიშვნელობა, მოისპო, თუ გარეგნულადაა არა, შინაგანით მაინც. მაშასადამე თანახმად განცხადებისა იესო ქრისტეს სიკვდილი უნდა მომხდარიყო მეშვიდე შვიდეულის ნახევარში, ე. ი. დაახლოებით საქადაგებლათ გამოსვლიდან სამწლინახევრის შემდეგ; მახარებლების მოთხოვნიდან, განსაკუთრებით კი იოანეს სახარებიდან ჩვენ ვიცით, რომ იესო ქრისტეს საზოგადო მოღვაწეობის განმავლობაში სამჯერ იყო პასეკის დღესასწაული და რომ იგი ჯვარს აცვეს ძეოთხე პასეკის წინაღედეს; ხოლო ეს გარემოება საბუთს გვაძლევს დარწმუნებით ვუკვამ, რომ იესო ქრისტეს საზოგადო მოღვაწეობა ვაგრძელდა დაახლოებით სამ წელიწად ნ ხევარს ან ნახევარ შვიდეულს, როგორც ნაუწყები ჰქონდა დანიელს განცხადებაში. ამ უკანასკნელი სამოცდამათე შვიდეულის ბოლო უდრის სწორეთ იმ დროს, როცა მოციქულებმა სახარების ქადაგება წარმართთა შორის გადაიტანეს: მთელი ამ შვიდეულის განმავლობაში მკვიდრდებოდა ახალი აღთქმა მრავალ ებრაელთა შორის, ჯერ თვით იესო ქრისტესაგან და შემდეგ მოციქულთაგან; ამ შვიდეულის და, მაშასადამე, მთელი სამოცდაათი შვიდეულის დ სასრულსაც, ახალ აღთქმაში შემოსასვლელათ იწოდებიან ყველა ხალხები.

ამაართ ძველ აღთქმის წინასწარმეტყველებათა საშუალებით წინასწარაუწყებია არა თუ საზოგადოთ დრო ქრისტეს მოსვლისა, არამედ წელიწადი მისი საქადაგებლათ გამოსვლისა, მისი საზოგადო მოღვაწეობის ხნის რაოდენობა და ეამ სიკვდილისა.

ვნახოთ ახლა ზოგიერთი წინასწარმეტყველებანი, რომლებიც შეეხებიან იესო ქრისტეს ქვეყნიურ ცხოვრებას. წინასწარმეტყველი ისაია აუწყებს, რომ მესია ქლწულისაგან დაიბადება: „თვით უფალი გაძლევს თქვენ სასწაულს: ამა ქალწული მიუდგეს და შეეს ძე და უწოდოს სახელი მისი ემანუილი (წ. ის. თ. 7 მუხ. 14).

წინასწარმეტყველი მიქია ასახელებს აღგილს, სადაც უნდა დაიბადოს მესია: „და შენ,

ბეთლემ, არა სადა უმრწამეს ხარ ათასთა შორის იუდასათა, რამეთუ შენგან გამოვიდეს იგი, რომელიც უნდა იქმნეს მეუფეთ ისრაილსა ზედა, და რომლისა გამოსავალი დასაბამითგან, დღეთაგან საუკუნეთა“ (მიქ. თ. ნ მუხ. 2).

იგივე ისაია წინასწარმეტყველი, წინასწარმხედველი იესო ქრისტეს ქადაგებად მოსვლისა, ხმობს: „არ ქეთ ასულსა სიონისასა: მოვალს მაცხოვარი შენი; სასყიდლო მისი მისთანა და მისაგებელი მისი მის წინაშე“ (თ. 62, მუხ. 11).

იგივე აუწყებს იმაზედაც თუ რა სასწაულებს მოახდენს ი. ქრისტე: „იგი მოვალს და გიხსნის თქვენ. მაშინ აღიხილნენ თვალნი ბრმათა და განებოვნენ ყურნი ყრუთა. მაშინ კუნთი რბოდეს, ვითარცა ირემი და ენამან მუნჯისამან წარსთქვას გალობა“.

წინასწარმეტყველი ზაქარია აუწყებს იესო ქრისტეს დიდებულ შესვლას იერუსალიმში: „განსცხრებოდე სიხარულითა, ასულო სიონისაო! იშვებდე, ასულო იერუსალიმისაო! ამა მეუფე შენი მოვალს შენდა მართალი და მხსნელი, მშვიდი და ზე ზის იგი ვირსა და კიცხსა ნაშობსა კარაულისასა“ (ზაქ. თ. 9 მუხ. 9).

ეს დიდებული შესვლა მაცხოვრისა იერუსალიმში, ეს განცხრომა ძეთა და ასულთა სიონისათა აღლევებს მღვდელმთავრებს და ფარისევლებს, იგინი ბქობენ ურთიერთ შორის, თუ როგორ დალუპონ ქრისტე; მაგრამ ის, რასაც ისინი ილაპარაკებენ ამ ბქობის დროს, მრავალი წლის წინეთ ჩაწერილია სოლომონის „სიბრძნისა“ წიგნში: „განუმზალოთ საფრხე მართალსა, რამეთუ იგი ძნიალ სატვირთველ არს ჩვენდა, და წინააღუდგება საქმეთა ჩვენთა, და გვახილვებს ჩვენ ცოდვათათვის წინააღმდეგ სჯულისა, და გვკიცხავს ჩვენ ჩვენი აღზრდის ცოდვათათვის; იქადის ცნობასა ღვთისასა და უწოდებს თავსა თვისსა ძედ ღვთისად; იგი წინაშე ჩვენსა—ვითარცა განკითხვა გულის თქმათა ჩვენთა. სამძიო არს ჩვენთვის მისი ყურება; რამეთუ ცხოვრება მისი არა არს ეგრეთ, ვითარცა ცხოვრება სხვათა, და გზანი მისნი

სხვანი არიან; სადაცღვრ ვართ ჩვენ მისდა და განეშორება იგი გზათაგან ჩვენთა ვითარცა ბიწთაგან; ნიტარყოფს მიცვალებასა მართალთასა და ზღავებრ უწოდებს ღმერთსა მამად თუ-სად. ვნახოთ რამდენათ მართალია მისი სიტყვები, და გამოვსცადოთ, ვითარი იყოს გასულა მისი; ვითარმედ თუ ესე მართალი არის ძე ღვთისა, მაშინ ღმერთი დაიფარავს მას და იხსნის მას ხელთაგან მტერთასა. გამოვცადოთ იგი შეურაცხებითა და წამებითა, რომ შევიტყუოთ სიმშვიდე მისი და დავინახოთ არა სიბოროტე მისი. მიუსაჯოთ მას სამარცხვინო სიკვდილი, რამეთუ, სიტყვათა მისთაებრ, ზრუნვა იყოს მისზედა (წ. სიბრძნე სოლომ. თ. 2 მუხ. 12—20).

წინასწარმეტყველი დავითი წინასწარ ხედავს, რომ მიმცემელი მისი იქნება მისი მახლობელი: „კაცმან მშვიდობისა ჩემისამან, რომელსა მე ვესვიდი, რომელი სქამდა პურსა ჩემთანა, მან აღიღო ჩემზედა ბრქალი“ (ფ. 40 მუხ. 9).

წინასწარმეტ. ზაქარია მწინასწარ სთქვა, რომ იუდა გაჰყადის თავის მოძღვარს ოცდაათ ვერცხლად, შემდეგ ამ ვერცხლს დააბნევს ტაძარში და რომ ამ ფულით იყიდიან მეკეცის აგარაკს; და მისცემენ სასყიდლათ ჩემდა ოცდაათ ვერცხლს. და მრქვა მე უფალმან: დაბნეე ეგე საფასესა შინა!—ფრიალი სასყიდელი, რომლითა დამაფასეს მე! და მოვიდე მე ოცდაათი იგი ვეცხლი და დავაბნეე იგი სახლსა შინა უფლისასა მეკეცისათვის (ზაქ. თ. 11 მუხ. 12—13).

საია წინასწარ ხედავს იესოს წამებას: „მივეც ზურგი ჩემი მცემელთა ჩემთა და ლაწვნი (ლოყანი) მომწყველელთა ჩემთა; პირი ჩემი არა დავფარე შეურაცხებისა ნერწყვისაგან (ის. თ. 50, მუხ. 6) იგი იწყლა ცოდვათა ჩვენთათვის... ვითარცა ცხოვარი კვლად მიივება და ვითარცა ტარიგი წინაშე მრისველისა თვისისა უხმობელ არს, ესრეთ არა აღაღებს პირსა თვისსა“. (ის. თ. 53, მუხ. 7).

დავითი წინასწარმეტყველობს, როგორი სიკვდილით მოკვდება ქრისტე, როგორ გაი-

ყოფენ მის ტანისამოსს, როგორ დაიტანჯება წყურულით ჯვარსე და როგორ ასმეიენ მას ძმარს: „კრებულმა უკეთურთამან გარემომიცვეს მე, ვანხურიტეს ხელნი ჩემნი და ფერხნი ჩემნი და აღრაცხეს ყოველი ძველები ჩემი, მათ მიხილეს მე და განმიცადეს მე, განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კვართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი (ფს. 21, მუხ. 16—19). ყვედრება დაითმინა სულმან ჩემმან და ველოდი მე თანამყოვარსა და არა იყო, და ნუ გეშინის მცემელსა, და არა ვჰპოვე, და მომცეს მე საქმელათ ნაღველი და წყურულსა შინა მასვეს მე ძმარი“. (ფს. 68, მუხ. 21—22).

წინასწარმეტყველ იასაიას ნაჩვენებია აქვს იესო ქრისტეს დასასაფლავებელი ადგილი: „მას მიუსაჯეს საფლავი ბოროტმოქმედთა თანა, ხოლო იგი დაიპარხა მდიდრისათანა“. (თ. 53, მუხ. 9).

როცა ებრაელები აღთქმის ქვეყანამდის მიიყვანა, მოსემ თავის სიკვდილის წინ დააფიცა იგინი, რომ ყოველთვის ყურადღებით მოეპყრობოდნენ ხმისა უფლისა ღვთისასა და ბეჯითად დასრულებდნენ მის მცნებებს; და ამისათვის აღუთქვა მათ ყოველ ივე ქვეყნიური ბედნიერება და გაბატონება ყოველთა ხალხთა ზედა. „ხოლო თუ არ შეისმინე ხმისა უფლისა შენისა და არ აღა რულე ყოველი მცნება და დადგენილება მისი, რასაც მე დღეს გიცხადებ, მაშინ მოვლენ შენზედა ყოველი წყევლა და გეწყევლა შენ და წყეულ იქნები შენ შინ და გარეთ“. შემდეგ, როცა ჩამოთვალა ყოველი უბედურებანი, რომელნიც ეწვიან ისრაილს ღვთის ურჩობისათვის, მოსემ, სხვათა შორის სთქვა: და განგთესავს შენ უფალი ღმერთი სხვადასხვა ხალხთა შორის კიდითგან, ვიდრე კიდემდე ქვეყანისა... მაგრამ ამ ხალხთა შორისაც ვერ მოისვენებ... და იქმნები შენ საშინელება, და იგავა და სამღერულ (საკიცხველ) წინაშე ყოვლისა ერისა, რომელთა მიგცემს შენ უფალი ღმერთი შენი“. (მეორე სჯულისა თ. 28, მუხ. 15, 16, 37, 64 და 65).

ებრაელებმა უარჰყვეს ქრისტე, არა ისმინეს სიტყვისა მისისა და როგორ ზედმიწევნით

აღსრულდა მათზე წინასწარმეტყველება მოსესი!

ამაირათ, წელიწადი ქრისტეს საქადაგებლად გამოსვლისა, მისი საზოგადო მოღვაწეობის უამბი, უმთავრესი შემთხვევანი მისი ცხოვრებისა, მისი სასწაულები, მძულვარება მისდამი მათი, ვინც მას უნდა ემხილებია, მისი დიდებული შესვლა იერუსალიმში, მისი გასყიდვა იუდასაგან ოცდა ათ ვეცხლათ, რომელიც შემდეგ მტკიცეს ერგო ნაყიდი მიწის ფასათ, წაშება და ტანჯვა, რომელიც მიაყენეს იესოს, მისი სიკვდილი, სიკვდილის წელიც კი, დაქცევა ტაძრისა, განთესვა და დაწყველა ისრაილუზისა—ყველა ესენი წინასწარ იყო თქმული რამდენიმე ასი წლის წინ და ყოველივე ასრულდა გასაოცარი სისწორით!

განა შეიძლება ამის შემდეგ იმის თქმა, რომ სახარების მოთხრობები ტყუილია და მოგონილი მახარებლებსაგან?

ილიოდორის დღე სარატოვში.

ამ სათაურით აგვიწერს «Ут. Р.» სარატოველი კორესპონდენტი. მ. ილიოდორეს ვაჟაკობას ქ. სარატოვში და უნდა გამოვტყუდეთ ვერ მივხვდარვართ, რას წარმოადგენს მ. ილიოდორე, რომ მას ყველაფერი ებატება რუსეთის იმპერიაში, ამას წინათ სინოდს მისი გადაყვანა უნდოდა ცარიცინიდან, მაგრამ ვერაფრის გზით ვერ მოახერხა, მაგრამ მოვიყვანოთ თვით წერილი, რომელიც პირველი არ არის ილიოდორზე და მის რაზმზე.

26 ივლისს, სწერს კორესპონდენტი, სარატოვიდან დაბრუნებული ილიოდორე თავის მლოცველებით კიდევ ესტუმრა სარატოვს. გემის მოსვლამდის დიდი ხნის წინეთ ნავთსადგურზე შეიკრიბნენ ილიოდორეს თავყვანისმცემლები მოკავშირენი და მოძმენი (союзники и братья).

სალამოს ექვს საათზე გემი „სვიატოსლავი“ მოადგა ნავთსადგურს.

მთელი გემი მორთულია ბაირალებით, ყვავილებით და მწვანით. ილიოდორე თერთი აბრეშუმის ანაფორით, შევშალ შემორტყმული, ჯოხით ხელში იდგა გემის ზემო სართულზე. მის გვერდით—მისი ძმა და რამოდენიმე ცარიცინელი მღვდელი. გაისმა გალობა გემში და ნავთსადგურზე.

— ვხედავ, რომ ჩემ მეორეთ მოსვლის დროს ქალაქში სულელების რიცხვს მოუკლია, თავდახურული იმდენი აღარავინ დგას. რუსეთი მოდის! ქულები დაიხადეთ თქვე ურია-კაენებო!

აი პირველი სიტყვები, რომლებიც გავიგონეთ ილიოდორისაგან.

ილიოდორის შესახვედრათ ქალაქიდან რამოდენიმე მღვდელი მოვიდა, მხოლოდ შემოსულათ და უბაიროლოთ.

დაიწყეს გემიდან გადმოსვლა ილიოდორეს თანამშრომლებმა. იგივე ქალები, ქალიშვილები და ბავშვები. ყველანი შეიარაღებულთა კეტებით, რომლებზედაც ილიოდორეს განკარგულებით მიბმული აქვთ პატარა სამფეროვანი ბაირალები. როცა ყველა ჩამოვიდა, ილიოდორემ ჰაერში ჯოხის ტრიალით დაიყვირა:

— გზა დაგვიცალეთ! წმ. რუსეთი მოდის! ქულები დაიხადეთ წყეულო ურიებო! და გასწია ქალაქისაკენ.

ამ მოსვლის დროს ილიოდორე და მისი მლოცველები მეტათ თავგასულათ ირჯებოდნენ. წინ მირბოდა 20—30 მეუში ბაირალებით, ოგე მათგანი ბერულათ იყო გ მოწყობილი და თითქმის ნახევარი ვერსის მანძილზე აძულვბდენ ქულების მოხდას. ქულების ჯოხის გკვრით თავზე გადაგლეჯა ჩვეულებრ ვი მოვლენა იყო.

ყველაზე წინ შავი კუნკულით თავზე რუსთა კავშირის ბაირალ ქვეშ მიდიოდა ილიოდორე, რომელსაც გარშემო მცველებივით უდგენ რამოდენიმე მღვდლები, ბერები და მოკავშირეები, — ყველა ჯოხებით შეიარაღებულთა. — რუსეთი მოდის! უფოთხილდით და ძრწოდეთ, ურიანო! უბედურება გეწევათ, კაენებო! — ჰა

ერში ჯოხის ქნევით ყვიროდა ილიოდორე.

— ურა! ბრაგო! ქულები ძიხს, კანებო! ყვიროდა გამხეცებული ათასთავიანი ბრბო.

— შენ რაღას მიყურებ, ღვთის მგმობელო, და ისიც ძაღლით! მოსცილდი, მოსცილდი ფანჯარას შე (აქ ისეთი სიტყვაა ნახშირი, რომლის ბადალი ქართულ ენაში არ მოიპოება და არც რუსულათ ხმარობენ პრესაში. მხოლოდ ამ სიტყვის დასაწყისი დაუწერია კორესპონდენტს ცხ... და ჩვენც ასე ვიხმართ) ცხ. — დაუყვირა ილიოდორემ მესამე სართულზე ფანჯარასთან მდგომარე მანდლოსანს.

მანდილოსანი იძულებული შეიქნა მიმალულიყო.

მთავარ ქუჩაზე ილიოდორე და მისი მზღებლები რაღაც სიტყვიერე შეიპყრო.

— ყველა ღვთის განდგომილებს, ქეციან „ეიდებს“, მემამოხეებს ანათემა, ანათემა, ანათემა! წამოიყვირა ილიოდორემ.

— ანათემა, ანათემა, იმეორებდა ბრბო.

— ოქტიბრისტებს, კადეტებს სოციალისტებს და ყველა მემამოხეებს ანათემა, უფრო ხმამალა ყვიროდა ილიოდორე.

— ანათემა, ანათემა! ყვიროდენ მლოცველები.

გაზ. „Сар. В.“ რედაქციასთან რომ მივიდა, ილიოდორემ დასწყევლა რედაქცია და მისი თანამშრომლები.

მლოცველების ყოფაქცევა უფრო და უფრო თავხედი შეიქნა. საკმარისი იყო ვინმეს გაეღიმა, რომ მას დასეოდა რამოდენიმე ათეული ბავშვ, ქალი და მოკავშირე. კანდიერს ჯერ საკმაოდ სცემდენ ჯოხებით, შემდეგ კი პოლიციის გადასცემდენ.

— ადექი, ადექი, მემამოლიაცო! ადექი, მე შენ გეუბნები, ადექი! რუსეთი მოდის! „ეიდოვკა“, თუ არ ადგები სახლს გაფანადგურებთ! გაისმის ილიოდორეს ხმა ინტელიგენტ ქალის ნ - ს მიმართ, რომელიც თავის სახლის მეორე სართულის აივანზე იჯდა. ქალმა უარი განაცხადა ილიოდორეს ბრძანების აღსრულებაზე.

— ქვა ქვაზე იღარ დარჩება! გაფანადგურებთ სახლს!

რებთ სახლს! „დრუჟინა“ წინ! ჰყვირის ილიოდორე და ძალზე ჯოხს ურტყამს ქვა-ფენილზე.

დრუჟინიკები აძრობენ ქვებს ქვა ფენილში. ბრბო აღელვებულია. ელღეტაა. რამოდენიმე პოლიციელი მირბის ილიოდორესთან. ევედრება დაწყნარდეს და პპ-რდება ოქმის შედგენას.

„ეიდოვკა“ დასწყევლეს, გადასცეს და ბრბომ განაგრძო მოგზაურობა.

— მამაო, მამაო, ვიღაც „ეიდმა“ ხელი მკრა და ამ სასტუმროში დაიძალა, ეთიფთიფება ილიოდორეს ვიღაც უკბილო დედაბერი.

— როგორ? საღ! „დრუჟინა“ გამოიყვე! ყვირის გამხეცებული ილიოდორე.

ოცოდავ ხულიგანი მისცვივდებიან სასტუმროს „სევერნი პოლუსის“ კარს, რომელიც ილიოდორეს ცხვირის წინ უცბათ დაიხურა.

— გააღე კარი, ურია კენო, თორემ გაფანადგურებთ სასტუმროს! ქვას ქვაზე არ დავსტოვებთ. — გაიძახის ილიოდორე

— ჩამტვრიეთ კარები! — ღრიალებს გამხეცებული ბრბო.

კარები იღება, ილიოდორე თავის „დრუჟინიკებით“ შედის სასტუმროში და ეძებს დამნაშავეს. ბოლოს ნახეს. ოთხ კაცს მოჰყავს.

— ხულიგანო! „ეიდო“! მემამოხე! ცხ... წაიყვანეთ პოლიციაში! — ყვირის ილიოდორე და ჯოხით იმუქრება. დამნაშავეს პოლიციას გადასცემენ, რომელიც ატყვევებს მას.

— ქულები მოიხადეთ! „ეიდებო“, ვერაგებო! უღვთოებო! — ღრიალებს ბრბო.

— იასნაია პოლიციის მხეცს — მემამოხეს ტოლსტოის და ყველა მეგზუთეებს და მწერლებს — ანათემა, გაჰკივის ილიოდორე.

— ანათემა, ანათემა, ანათემა! გაისმის გალობა ილიოდორეს დამქაშებისა.

ანათემის, მრავალეამიერის და საერო სიმღერების გალობით ბრბო გაეშურა არქიელის ეზოსკენ.

მალაზიების და სასტუმროების კარები სწრაფათ დაიხურა.

— „პოგრომი“ იქნება, „პოგრომი“, გაისმის შეშინებული მებატონეების ხმაურობა. არქიელის ეზოში ილიოდორმა აივნიდან ქორებისკობოზის დოსითეოსის თანდასწრებით სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიდაც აღნიშნა, თუ რა ძნელი მოგზაურობა გადაიტანა მან 1700 მოციქულ-მქადაგებლებთან ერთად. ჩვენ წინ ქედს იხრიდა ყოველივე და თუ არ იხრიდა ძალათ ვახრევიანებით. ეხლა ყველამ შეიტყოს რომ რუსეთი მოდის! ძრწოდეთ „უიღებო“ და გეშინოდესთ ჩვენი მოციქულეებისა.

სიტყვის დასასრულს ილიოდორემ სერაფიმ საროველის ხატი მიართვა ეპ. დოსითეოსს, აგრეთვე სეფისკვერი და სთხოვა აკურთხოს შემდეგი მოგზაურობა მოციქულებისა. დოსითეოსმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიდაც შეაქო ილიოდორე, რომელმაც ასეთი დიდებული მოსალოცავი მოგზაურობა მოაწყო. არქიელის ეზოში ბევრი კაცი გაილახა.

ილიოდორეს ბრძანებით გაზ. „Сарат. Вѣст.“-ის თანამშრომელს ყოფილ დიკანს მიროსლავოვს უკანდგან ოთხი კაცი მოეპარა და ხელები გაუკავა. მორჩილმა თუნუქით კუპრი მოიტანა და თავის ბაირალით შეთხუპნა მიროსლავოვი პირზე და ტანზე. ილიოდორე და რამოდენიმე მღვდელი დამშვიდებით უყურებდნენ აა სანახობას. ილიოდორე კიდევ იღიმებოდა და ჯოხს აივანზე ურახუნებდა.

— მოითმინეთ, ეს რა არის, კიდევ უარესს მოესწრებით! კისერზე დაგაჯდებით წყველო მემამბოხნო, — გაჰკიოდა ილიოდორე.

დამსწრე საზოგადოება ააღელვა ხულიგანების ველურმა საქციელმა. ვილაცამ პროტესტი განაცხადა. იქვე მიბერტყეს. არქიელის ჭიშკრებთან კინაღამ ელეტა მოხდა ილიოდორეს მოციქულთა და საზოგადოების შორის, რომელმაც ქული არ მოიხიდა. იყო შემთხვევა, როცა პოლიციამ ძლივს გააზავა ორი ერთი მეორის საომრად გამზადებული ბრბო. პოლიცია ატყვევებდა მხოლოდ ილიოდორეს და მის თანამგზავრების ბრძანებით.

— სიკვდილი (ყიდებს), — გაჰკივის ათას თავიანი ბრბო კეტების სუსურით და მუქარით ცნობის მოყვარე საზოგადოების მიმართ.

— მე ვადმომცემენ, რომ აქ პოლიცია კარგათ ვერ მოქმედობს, მაშინ ნუ შედრკები, — დაჰკარ კეტი „ყიდებსა“ და მემამბოხეებს. ურა, ურა! ყვირის გავერნებული ბრბო.

შემდეგ ყვირილ-კეჩინით გამოცეინებთან არქიელის ეზოდან და ილიოდორეს მეთაურობით გაეშურებთან წავთსადგურისკენ.

დაიწყო ხელახალი შეჯახება საზოგადოებასთან, ხელახალი დატყვევება პოლიციის მხრით და სხ.

«ოჩკინის» ბალთან გაისმა საზოგადოების სტვენა. რამოდენიმე კაცი მიბერტყეს, დაატუსადეს

ანათემა, ანათემა! — გაისმის გამხეცვულ ბრბოს ყვირილი და ჯოხების ტრილი ჰაერში.

შეშინებული ხალხი იმალება, ვინ მალაზიებში, ვინ ეზოებში.

გზა დაგვიცალეთ, წმიდა რუსეთი მოდის! ძირს ურიები! გახსოვდეს ჩვენი მოგზაურობა მემამბოხე ქალაქო, — ღრიალებს კეცილებან გამოსული ილიოდორე.

— ურა, ურა... „АХЪ ТЫ ВОЛЯ, МОЯ ВОЛЯ“... ყმურს ილიოდორეს გეყო თაყუნი მცემლების ბრბო.

9 საათზე გემი გაშორდა ქალაქს. ილიოდორე კეტით იმუქრებოდა და რალაცას ყვიროდა.

ს ი ტ ყ ვ ა

თქმული 1911 წ. ივნისის 24 ქვაშკეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ქართულ განმანათლებელ საზოგადოებათა მიერ გარდახდილ ჰანაშვილის წინ დ. ზ. სარაჯიშვილის სულის მოსახსენებლად.

უკეთუ ვინმე თვისთათვის... არა მოღვაწე იყოს, სარწმუნოება უარ უყოფის და არს იგი ურწმუნოება უძვირეს (1 ტიმ. 5, 8).

აი მცნება, რომელსაც მსახურებდა თავის სიცოცხლეში დ. ზ. სარაჯიშვილი, ვის გამოც შეკრებილან დღეს ამ წმიდა ტაძარში ქართველის ერის განმანათლებელ საზოგადოებათა წარმომადგენელი! ყველა თქვენგანმა უწყის, რომ განსვენებულმა დავით სარაჯიშვილმა შეუწყვეტელის და დაუღალავის შრომით

მოკლე ხანში მოიპოვა იშვიათი ქართველთა შორის სიმდიდრე. ასე მალე შეძენილი სიმდიდრე კი თითქმის ყოველთვის წარმოშობს ორს ტულს ჩვეულებას: მოძმეთა შორის ამპარტავნება - მედიდურობას და კერძოდ პირად ბედნიერებისათვის ზრუნვას. დავით სარაჯიშვილმა კი თავიდან ააცილა ორივე ნაკლულევანება და მით უკვდავყო თავისი სახელი. ქონებრივად და გონებრივად მაღალის საზოგადოების წევრებთან გასწორებულს მათთან დღე მუდამ საქმის დამკერს, არასოდეს არ შეუწყვეტია კავშირი დაბალ ხალხთან. ყველასათვის ხელმისაწვდომი, თავდაბალი და მოსიყვარულე, იგი ხალხის ქირით იტანჯებოდა და მისის ლხინით ხარობდა. არასხვა მდიდარზე ნაკლებ მზრუნველი პირადის ბედნიერებისათვის, იგი არ ივიწყებდა უმრწემესთა ძმათა წაღმართს გზაზე დაყენებას. მუდამ მომგონებელი თავისის წარსულისა, იგი სიტყვით და საქმით გვიჩვენებდა, რომ საფუძველი ერის ბედნიერებას არის შრომა და ცოდნა და სწორედ ამ შრომის სიყვარულისა და ცოდნის გავრცელებისათვის მშრომელს ხალხში, იგი არ იშურებდა არც საკუთარს ძალღონეს, არც შრომით შეძენილს ქონებას. მრავალთ დღეს აქ მდგომარეთაგანს და უფრო კიდევ უმრავლესთ სხვაგან მყოფთ მისი შემწეობით შეუძენიათ განათლება და გაუკვლევიათ გზა ცხოვრებისა.

მაგრამ განსვენებულს დავით სარაჯიშვილს ეს არ აკმაყოფილებდა: უნდოდა მისის შემწეობით, თუ საკუთარის მეცადინეობით განათლების მიმღებთ განათლება გაეცრცელებინათ მშრომელს ერში, რომლის უდიდესი ნაწილი ჯერ კიდევ აჩრდილთა სიკვდილისათა დაძვინდრებულ და ბნელსა შინა ძავალ არს (ისაია, 9, 2), და რომ შეემსუბუქებინა მოქმედთათვის მოღვაწეობა, მუდამ ღია მქონდა თავისი გულისა და სახლის კარი მათთვის და ამხნეებდა მუშაკთ მხურვალე სიტყვით და უხვის დახმარებით. განსაკუთრებულს მისს ყურადღებას კი აქცევდნენ ის ქართველთა შორის მოქმედნი განმანათლებელნი დაწესებულებანი, რომელ-

თაც მიზნათ დაუსახავთ ძველის საქართველოს დიდებულის სულის კვეთების ნაყოფთა შესწავლა, შეგროვება, გავრცელება, თუ აღდგენა, რისი მოწამეც უნდა იქმნეს მომავალი ჩვენი საერა: მუზეუმ, აღსაგებელი განსვენებულის მიერ შემოწირულის თანხით და არს და იქნება მცხეთის სვეტიცხოველის და სამთავროს ტაძრები და ამა ქვაშეთის დიდებულნი ბჭენი, ქეშმარიტად, რომ ყველა ეს დაწესებულებანი მას მიანდა თვისად და, თანახმად წმიდის მოციქულის მცნებისა, მოღვაწე იყო მათთვის. და ამა შედეგი ამ მოღვაწეობისა: ყველა ამ განმანათლებელ საზოგადოებათა წარმომადგენელთ მოუყრიათ აქ თავი და ცხარის ცრემლით იგლოვენ და სტირიან სასაქადულო წევრისა და უებრო მამულიშვილის დაკარგვას.

საყვარელნო! მართალია, ჩვენი დანაკლისი ფრიად დიდი და საგრძნობელია, მაგრამ ქრისტიანთ არ შეშვენის მიცვალებულთათვის უნუგეშო ტირილი და გოდება, არამედ მადლობა და ლოცვა ღვთისა. ჩვენც შევსწიროთ მადლობა ზეციერს მამასა დავით სარაჯიშვილის ქვეყნად მოვლენისათვის და შევედრნეთ, რომ მსგავსი მისი კვალად მოჰნიჭებოდეს ქვეყანასა ჩვენსა არა ერთი და ორი. ამინ.

წმ. კ. წინადაქ.

კვირიღამე-კვირიღამე.

პეტერბურგში ახლო ხანში მოელოან ანგლიკანელ ეპისკოპოსებს მიზანი მათი მოსვლისა მართლმადიდებელ ეკლესიასთან დაახლოებაა.

როგორც სარწმუნოთ გავ გუთ, დეკ. მ. ერ. კანდელაკს ეპისკოპოსთან თხოვნა ჩვეულებრივად, რომელშიდაც სთხოვს საბჭოს თავმჯდომარე დროებით სხვა დანიშნოს, რა ან 1912 წლის დამლევდიან თითონ დაბრუნდება ამ ადგილზე (!). ამ ადგილზე თან მდებობის აღსა-

სრულდებლად მის მეუფებას დაუნიშნავს ქუთ. პეტრეპავლეს ეკლესიის მღვდელი ტ. კაპანაძე.

როგორც სახ. გაზეთი გადმოგვცემს, თ. დ. ჟორდანიას ქართულის მასწავლებლობა უახლოვნიდა თფილისის ქართულ გიმნაზიაში.

მეტვალყურის ადგილზე, თ. ჟორდანიას ნაცვლათ მისს მეუფებას ეპ. გიორგის თფილისის სემინარიის მასწავლებელი ი. ვართაგაეა წარუდგენია.

საქმე გელათის ბერების ილარიონისა და დოდოსი, რომელთაც პოლიტიკური დამნაშაობა ბრალდებოდათ კი ხანია გადაწყდა ხსენებულ მღვდელმონაზონთა სასარგებლოთ. მართებლობამ იგინი უდანაშაულოთ სცნო. სინოდის კონტორამ ამის თაობაზე ბრძანება მოსცა იმერეთის ეპისკოპოსს. ბრძანების ძალით მღვდელმონაზონი სოფრონი, როგორც მტყუარი მომჩივანი, გადაყვანილი უნდა იქმნეს გელათის მონასტრიდან, ხოლო მოპასუხებებს ნება ეძლევათ უჩივლონ მას ცოლისწამებისათვის. როგორც სარწმუნოთ გადმოგვცეს, მოპასუხებები არ უპირებენ ჩივილს მღვდელმონაზონ სოფრომს. ერთმა მათგანმა, სახელდობრ მღვდელმონაზონმა ილარიონმა, საუნჯობესოთ სცნო თითონ გასცლოდა გელათის მონასტერს; მან ადგილი გაუცვალა მოწამეთის ილუმენს პაფნუტის. უნდა ითქვას, რომ მღვდელმონაზონი ილარიონი საჭირო კაცი იყო გელათის მონასტრისთვის, სადაც იგი მღვდელმონაზონთ დოდოსსა და ეპიფანესთან ერთად აწარმოებდა სანთლის საქმეს.

მოწამეთის მონასტერში წყლის გამოყვანის საქმე ცოტა წყაროს მეპატრონის ჯიუტობამ შეაფერხა, რომელმაც სასყიდელი მოითხოვა და კიდევ მიიღო 17 თუმანი. ცოტა ხნის განმავლობაში მონასტერი ელარსება წყაროს წყალს (დღემდის კი წვიმის წყალს ხმარობდა).

დიდი მადლობის ღირსია მამა არქიმანტიტი ნესტორი, რომელმაც ითავა ეს ფრიად კეთილი საქმე.

რა იმოდ ვოსტორგოვის დაცემის მიზეზი?

სინოდმა საბოლოოთ გადასწყვიტა მოსკოვის სამღვდლო კურსების დახურვა, რომლის ხელმძღვანელი და სულის ჩამდგმელი იყო მ. ვოსტორგოვი.

ვოსტორგოვის დაცემაში, როგორც სჩანს, თვალაჩინო როლს თამაშობდა რუს მისიონერობის თავი და გამომცემელი გაზ. „Католикос“-ისა ვ. სკვორცოვი. ამ უკანასკნელსა და ვოსტორგოვს შორის დიდი ხანია სწარმოებს ილუმალი ბრძოლა მისიის ხელმძღვანელობისათვის. სკვორცოვი შურით უყურებდა ვოსტორგოვს, რომელმაც ასეთი მნიშვნელობა მოიპოვა მართებლობის მაღალ წრეებში. განსაკუთრებით მოიძულეს ვოსტორგოვი მას შემდეგ, რაც მან მოინდომა სინოდში მოკალათება საერო დამოკიდებულებათა და მინისტრთა საბჭოს ზოგიერთ წევრების მფარველობით, და უნდოდა სინოდისათვის მოეხევა თავზე ცენტრალური სამისიონერო საბჭო, რომლის თავმჯდომარეობას თითონ ფიქრობდა და რომლის წევრობიდან სრულიად გამორიცხა სკვორცოვი. აი სწორეთ ამ წამიდგან დაიწყო ომი ყოველად შემძლებელ მისიონერობის მოთავე სკვორცოვსა და ვოსტორგოვს შორის. სკვორცოვმა ენერგიული იერიში მიიტანა „ივანე ბნელზე“, როგორც უწოდებენ მ. ვოსტორგოვის სამღვდლოების მაღალ წრეებში. ესენიც ძალიან უკმაყოფილონი არიან ვოსტორგოვზე, რომელმაც თავის ეკლესიურ გადასახლების პროექტებით და ციმბირის პლანებით ცენტრი შინაგან საქმეთა სამინისტროს აპეკას დაუმორჩილა. სკვორცოვმა ყველაზე უფრო კარგათ იცის ფორმულიარი უბად აღებულ დეკ. ვოსტორგოვისა და თავის თავად ცხადია მისგან დახატული სურათი მ. ვოსტორგოვისა მეტად ბნელფერადებიანი გამოვიდა.

სკვორცოვმა შეიძლო, თვალები აებალა

მოსკოვის მიტროპოლიტ ვლადიმერისათვის, რომელიც ასე სტყუვდებოდა ვოსტორგოვიში. აღმოჩნდა, რომ იგი არ შესდგა, რომ მიტროპოლიტიც თავის ინტრიგების საგნათ გაეხადა. ყველა ამ ინტრიგებს შედეგად ის მოჰყვა, რომ ვოსტორგოვი დაეხვია და დაეცა

„V. P.“

სამღვდლო კანდიდატების კრიზისი ჩინს ვოვს მპარკიაში. ეს რაქდნიმე წელიწადია ჩერნიგოვის ეპარქია „სამღვდლოების შიმშილს“ განიცდის, სწერს გაზ. „V. P.“ ჩერნიგოველი კორრესპონდენტი.

როგორც ცნობილია, ჩვენ გუბერნიაში ბევრი სამღვდლო და საღიაკენო თავისუფალი აღვილია, რომლებსთვისაც არავინ მოიპოება. ამ ნადავზე საუცხოვო ამბებიც ხდება. მაგალ. ოსტრის მაზრაში არის სოფელი დუბენინი, რომელსაც აგერ რამოდენიმე წელიწადია მღვდელი არ ყოლია. სოფლებმა რამდენჯერმე ითხოვეს მღვდლის განწესება, მაგრამ ამოათ.

ამ დღეებში ამის თაობაზე ხელახლა შესდგა ყრილობა. ბევრი ითათბირეს, თუ როგორ აიძულონ კონსისტორია მღვდლის დანიშვნის შესახებ და ბოლოს ასეთ ხერხს მიმართეს: ეთხოვეს კონსისტორიას, მოგვცეს მღვდელი, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა შტუნდას (მწვალებლობა ერთნაირი რუსეთში) მივიღებთო.

უეჭველია ეს მუქარა თავისას გაიტანს; მაგრამ რამდენი საზოგადოება არის კიდევ უმღვდლოთ, რომლებმაც ჯერჯერობით ვერ მიაღწი დუბენინის მცხოვრებთა მოხერხებამდის.

რუსის გლეხისათვის ძნელია უმღვდლოთ, სულიერ უმამოთ ცხოვრება; უღმობელომა სინამდვილემ კი ასეთი არა ნორმალური გარემოება შექმნა ჩვენ გუბერნიაში, როგორც არის სამღვდლოების ნაკლებეფანება.

სემინარიელები რაღაც არ მიდიან მღვდლათ: ახალგაზდა ჯერ კიდევ გაურყენელი სულელები ვერ ურიგდებიან სოფლის მღვდლას მდგომარეობას, რომელიც ჩინოვნი-

კი უნდა იყოს და რომელსაც არ შეუძლია მამათ გაუხდეს თავის სამწყსოს.

— ძნელია ეხლა სოფლის მღვდლობა, — ჩვიან სოფლის მღვდლები. ნივთიერად ჩვენ სრულებით უზრუნველყოფილი არა ვართ, სულიერათ კი... ხალხი ახლა მართლა ეძებს ღმერთს, მაგრამ ჩვენ ჩინოვნიკები ვართ და ხალხს „ოფიციალურ ენაზე უნდა ველაპარაკოთ“.

„V. P.“

რამდენი მწარე სიმართლეა ამ საჩივარში! უმღვდლეს სასულიერო პირთაგან დაწყებული მედავითნემდის ეკლესიის მსახურნი მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლები არიან და ერთი მათგანიც ვერ იტყვის, რომ იგი ქრისტეს სახელით მწყსიდეს სამწყსოს. ამბობენ კაცობრიობა წინ მიდის, ვითარდება, უნჯობესდებაო. შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ სამღვდლოება, მგონი, გამოწკლისს უნდა შეადგენდეს ამ საზოგადო კანონიდან. შეიძლება დღევანდელი მეფენი და მთავარნი გაცილებით უკეთესნიც ივვენენ ნაბუქოდონოსორზე, კვიროსზე, ალექსანდრე მაკედონელზე და სხ., მაგრამ რა შედარებაა პირველ საუკუნოების და დღევანდელ სამღვდლოების შორის. რა მსგავსებაა ძველ მღვდელმონაზონსა და ილიოდორეს შორის? რა შედარებაა..... ვაი ჩენი ბრალი!

დაკარგული საეკლესიო ჩვეულება.

მდგომარე მარხვის პირველი კვირა იმერეთის ეპარქიაში ზიარების კვირათ ითვლება. რადგან ჩვეულებრივი თბილი ამინდები ხელს უწყობს, ამიტომ ამ დროს ყოველთვის დიდალი ბავშვები და დაუძლეურებული მოხუცებულები ზიარობენ, აგრეთვე ქალებიც, რომლებსაც დიდმარხვის ცივ და თოვლ-ქვაპიან ამინდებში არ შეუძლიათ დღე მუდამ სამჯერ ეკლესიაში სიარული. იმერლობა განსაკუთრებით მოწიწებით ინახავს დედამღვთისის მარხვას; ბევრი თვით მარიობასაც კი მარხულობს, იგონებს რა ღვთისმშობლის მიცვალებას.

როგორც სჩანს, მეგრელები და მათი მღვდლები არ ასრულებენ ამ კეთილ ჩვეულებას, მეგრელიაში ჩვეულებათ არ ქონიათ ამ მარხვაში ზიარება.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს ჩვეულება ახალია, ძველათ კი აქაც ის ჩვეულება უნდა ყოფილიყო, როგორც იმ რეთშია. ნეტარხსენებელი გაბრიელ ეპისკოპოსი ვერ მოითმენდა თავის ეპარქიაში ასეთ არა ქრისტიანულ ჩვეულებას. მაშასადამე უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი ჩვეულება შემოსულა შემდეგ, როცა სამეგრელო-გურიათურთ ცალკე ეპარქიათ გადოქცა. ეჭვ გარეშეა ისიც, რომ ამ საქმეში დიდი დანაშაულობა მიუძღვის ადგილობრივ დაბალ და მაღალ სამღვდლოებს, რომელიც ვალდებულია დღეს მაინც გაასწოროს თავის წინამოადგილეთა შეცდომა და ხალხს აღუდგინოს დაკარგული კეთილი საეკლესიო ჩვეულება.

კანონი ბ-ნ ქაჯეთელს. *)

(დასასრული.)

ბატონო ქაჯეთელო! მე დაკმაყოფილებოდი ზემომოყვანილი ციტატებით სხვადასხვა წიგნებიდან, მაგრამ, რომ თქვენ ერთხელ და სამუდამოთ დარწმუნდეთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კარგს გაწყობილს გალობასა და აგრეთვე თუ როგორ იფასებს მას თვით კარბელაანთ გალობის მკოდნე პირები, რომელთაც, სანამ მე დავასწავლიდი ქართულ გალობის კილოს, მათ უკვე შესწავლილი ჰქონდათ კარბელაანთ კილო, ამისათვის იძულებული ვარ, უკანასკნელ კიდევ მოვიყვანო შემდეგი ციტატა**):

„... მაშინ უფრო მოიცალა მაქსიმემ და სხვებთან ერთად დაიწყო ქართული გალობის სწავლა და მალეც შეისწავლა ქართულ-კახეთის

კილო. მასუკან კაბინეთის ხელმძღვანელებმა მოიწვიეს იმერეთიდან მოსული გელათის მგალობელი და მისგან შეისწავლეს სიმძევ წირვის წესი და სძლის პირები. შემდეგ მოიწვიეს გალობის მასწავლებლად თავ. მელქისედეკ ნაკაშიძე. მან (ნაკაშიძემ) სთქვა: „გაგებულნი მქონდა ამ კაბინეთის საქმე, მაგრამ არა მჯეროდა, თუ ასე მოწყობილი იქნებოდა. ეხლა კი დავრწმუნდი, რომ თქვენ ნამდვილ კეთილ საქმეს აღდგებართ და თქვენი შეძლება და ცოდნა არა გშურთ ასეთის კარგის საქმისათვის, მეც დიდი სურვილი მაქვს, ჩემი შეძლება და ცოდნა თქვენსას შევუერთო“. „მელქისედეკმა გადმოაწყო საეკლესიო წიგნები: „პარაკლიტონი“, „მარხვანი“, „ზადიკი“, „სადღესასწაულო“ და სთქვა: ყველა ის დიდი წიგნები, საწინასწარმეტყველოს გაადა სულ ერთიანად საგალობლებია; პირველი ამითში „პარაკლიტონი“-ს წიგნია, რადგან პარაკლიტონის რვა ხმა ყველა გალობის კლიტეა. საქართველოს დედა გალობა ისეთი დიდებული და მრავალია, რომ ძველად მეფის შვილები და თავადები უმეტესს დროს მისს შესწავლას ანდომებდნენ. ახლანდელს უმაღლეს სასწავლებელის კურსს ორჯერ გაათავებდნენ იმ დროს განმავლობაში, რაც დრო მთელს საგალობლების შესწავლას სჭირდებოდა. ამ საუკუნეში დაეცა გალობის საქმე და მთელს გურიაში დაჩნა მხოლოდ ერთად ერთი კაცი-ანტონ დუმბაძე — ყველა ამ საგალობლების მკოდნე. მისნი მოწაფენი რამდენიმე კაცნილა ვართ. დიდათ მსურველი ვარ, ეს მრავალთა მრავალი საგალობელნი შეგასწავოთ, რომ არ დაიკარგოს სამშობლოსათვის.“ მართლაც დიდათ გაისარჯა და დიდი ამაგი და შრომა დასდო; მთელის ხუთი წლის განმავლობაში განვლეს „პარაკლიტონი“ და სხვა. გალობის სწავლების საქმეს ყველანი ძლიერ მონდომებულნი იყვნენ; მოხარულნი და განკვირვებულნიც იყვნენ გალობის მშვენიერებასა და სიმრავლეს. თვით მაქსიმე ხომ ისე გატაცებული იყო, რომ კაი განწყობილი გალობის თქმის დროს შეტის სიხარულით ცრემლები მოსდიოდა. ბ-ნ ნაკაშიძისაგან ნასწავლ

*) იხ. „შინ. საქ.“ № 28.

***) იხ. წიგნი „მონა ღვთისა მაქსიმე როსტომის ძე შარაძე“ გამოცემა „ძობის“ სტამბისა 1909 წ. გვ. 58—59.

გალობას მაქსიმე მერე თავის შმათა შორის და ხალხში გულდადებით ავრცელებდა“

ბ-ნი ქაჯეთელი ბრძანებს, ვითომც მე მეთქვას, რომ „შატბერდას საგალობლების ნოტების გასაღებები მე მეჭიროს ხელში“ და მემუდარება, რათა სამშობლოს სიყვარულის გულსათვის ისინი „გარდავსცე“ ბ. ბ. ფალიაშვილს, ი. კარგარეთელს და ზ. ჩხიკვაძეს. გამიწყრეს თქვენი ქაჯების მადლი, ბ-ნო ქაჯეთელო, თუ შესძლებს სიდან გამოატყუვინეთ თქვენ შატბერდას საგალობლები და მისი გასაღებები ქართულს გალობასთან, რომლის მსგავსი მე არასოდეს არავისთან არ მითქვამს და არც შემძლო მეთქვა, მაგრამ, აღბად თქვენ გსურთ ახალი სახელით მონათლოთ ქართული გალობა, როგორც კარბელაშვილებმა მონათლეს თავიანთი სიმღერების კილოზე შეთხზული გალობა ქართლ-კახეთის კილოთ.

მართალია არის ქართული გალობის გასაღებები, რომელზედაც მე ვლაპარაკობდი და დღესაც ვლაპარაკობ, მაგრამ ის არ გარდაიცვამა ისე ადვილად, როგორც ეს თქვენა გგონიათ. გა აღებ ბის გარდაცემა შეიძლება მაშინ, თუ ყოველ თვით-ხმ-ვან საგალობელს და ყოველს საცისკრო და სამწუხრო სძლის პირებს შეისწავლის მოსწავლე. როგორ გგონია, ბ-ნო ქაჯეთელო, რამდენ ხანში უნდა გარდაიცვას ის გასაღებები, რომელთა რიგები ერთობ მრავალია? თვითოეულს გასაღებს თავისი საკუთარი, არა ერთმანერთის მსგავსი მუსიკა და მიმოხვრა აქვს. ყოველი გასაღები თავისებურათ დაატკობს სასმენელთა და საცნობელთა ჩვენ მოიყვანს ადამიანს ლმობიერებაში და შთაუხვრავს გულში ღვთისა და მოყვასის სიყვარულს. ზოგი მათგანი კრელია, ზოგი თვით ხმოვანი, ზოგი სამგლოვიარო და ზოგიც სამხიარულო; უძრაველს მათგანს აქვს თავთავისი ისეთი კილო, რომელსაც ძველის სხელით ეწოდებიან: ჩაბანება, ბუხუნი, საჭიქენი, აუვია, აქაია, წილთქვა, დიდი წილთქვა, ხელმწიფე კილო, სამი საბრუნავი, მცირე სამი საბრუნავი, უსტაური, ოინი, მცირე ოინი, ასამაღლებელი, დიდი ასამაღლებელი, ყოვლად

წილის კილო, შეხვეტილიანი, დაბანება, ნოინი, შეყრილი, ჩაენგული, მრავალგვარი, დასადებლის კილო, ახაია, ამონი, ოდია და სხვა მრავალი.

ბევრმა გამოჩენილმა ნოტების მკოდნეებმა მოინდომეს და თითქმის თავიც შესწირეს ქართული გალობის გასაღებების საიდუმლოების გაცნობასა და შესწავლას, მაგრამ დღემდისაც ვერ გამოიტყნეს და ვერ შეისწავლეს იგი. ეს იმისი მაჩვენებელია, რომ მემუსიკე, რაც გინდ უმაგალითო ნიჭის პატრონი იყოს, ყოველივე მისი ცდა ქართული გალობის გასაღებების საიდუმლოების შესწავლისათვის ამაო იქნება, თუ იგი სიყრმიდგან არ შეუდგა მისს სწავლას და არ შეეზარდა მას ისე, როგორც ადამიანი თავის სამშობლო ენას, რადგან ქართული გალობა არც ერთის სხვა ერების კილოსა და მიმოხვრას არ წააგავს და არც თვით ჩვენი საერო სიმღერების მსგავსება მას არა აქვს.

თქვენ ბრძანებთ, ბ-ნო ქაჯეთელო, ვითომც მე მეთქვას, რომ „მხოლოდ მე ვარ ერთადერთი კომპოზიტორი მთელს საქართველოში და სხვა არავინ“—ეს, მეტი რომ არა ვსთქვათ, მტკნარი სიცრუე არის თქვენგან განაზრახ მოგონილი. პირიქით, მე ყოველთვის ვამბობდი და ეხლაც ვამბობ, რომ არიან სხვებიც, რომელთა სიკვდილის შემდეგ ქართული გალობის აღდგენა შეუძლებელია, ამის დასამტკიცებლად, გთხოვთ წაიკითხოთ წერილი რედაქციის მიმართ 1910 წ „ნოვია რეჩი“-ს მე-138 ნომერში.

სხვათა შორის თქვენ ბრძანებთ თქვენს წერილში: თქვენი ასეთი მსჯელობის მოსმენის შემდეგ გულდასმით (ხაზს ჩვენ ვუსვამთ მ. ნ.) გადავიკითხე თავიდან ბოლომდე კარბელაშვილის დასახელებული მეტად საგულისხმო და სერიოზული ხასიათის თხზულება, მაგრამ ვერაფერი იმის მსგავსი ვერ ამოვიკითხე მასში, რასაც თქვენ ასე გაბედულად ავრცელებთ საზოგადოებაში ქართლ-კახური საეკლესიო გალობის ხასიათის შესახებ და სხვ. სასაცილოა, რომ სატირალი არ იყოს

თქვენი ასეთი ლაპარაკი, როცა ამბობთ „გულდასმით გადავიკითხე“-ო და ნამდვილად კი არ წაგიკითხავთ ის, რაც იქ სწერია. ვაი თუ თქვენ, ბ-ნო ქაჯეთელო, გალობასაც ისე გულდასმით ისმენთ, როგორც მამა პ. კარბელაშვილის ისტორიული გამოკვლევა გადაიკითხეთ? სწორედ ასეთმა «გულდასმით» წაკითხვამ და მოსმენამ არია ჩვენში ყველაფერი და ჩაგვადლო ამ დღეში, რომ თეთრს შავთან არც ფასა აქვს და აღარც მოწონება.

ფალიაშვილები, კარგარეთლები, ჩხიკვაძეები და თქვენ, ბ-ნო ქაჯეთელო, ვერ გააფრცულდებთ ნამდვილს ქართულს საეკლესიო გალობას ხალხში, პირიქით, მოსპობთ კიდევ, თუ ის მცოდნე პირებს არ დაუთმეთ გასაფრცულებლად. მცოდნე პირებიც სამის მეტი აღარ არის მთელს ივერიაში; ახალაც აღარავინ სწავლობს, რადგან ქართული გალობისათვის არავითარი ჯილდო არ არის დანიშნული.

როგორც დედინაცვალი დედის მაგიერობას ვერ შეასრულებს გერის წინაშე, ისე ახლად შეთხზული გალობა მამა-პაპური გალობის მაგიერობას ვერ შეასრულებს ქართველი ერის წინაშე.

რომელ საფუტკრეშიაც დედა ფუტკარი მოისპობა, ამ საფუტკრეს სტოვებენ თაფლისა და კრებუქის გამკეთებელი ფუტკრები და ამ გვარად ს'ფუტკრე ცალიერდება. რომელ ერშიაც მოისპობა სამშობლო ენაზე საეკლესიო გალობა, ის ერი ჰკარგავს თავის ენას და სარწმუნოებას და სტოვებს ეკლესიას. სადაც გამრავლდება შური, სიძულვილი, ამპარტაყანება და ცილის წამება, იქ კეთილი საქმის გაკეთება ძლიერ გასაძვირია. ვისაც სურს ქართველებში ქეშმარიტი სარწმუნოების შეურყვევლობა, დროა იმათ ეხლავე გამოჩაბონ საღსარი და დაუნიშნონ ჯამაგირი რამოდენიმე ნიჭიერ ახალგაზრდას და მიაბარონ იგინი გამოცდილ ლოტბარს, რათა შეასწავლოს მათ სრული საეკლესიო საგალობლები, რათა არა მოისპოს ივერიელ ბში სამშობლო კილოზე გალობის მცოდნე, რათა არა დაეკარგოს ჩვენ მონასტრები და ტაძრები ჩვენი, ვითარცა დაეპარგოს

ისინი პალესტინასა და მთელს საბერძნეთში. ქართველები ნუ გაიყყოფით ქართლ-კახელო-ბითა და გურულ-იმერლო ითა, არამედ საერთოდ ვიზრუნოთ საერთო საქმისათვის.

ლხურგეთის მახრის მისიონერი თავ.
მელქიედექ ნაკაშიძე.

რედაქტორი, მღვდელი სიმონ მჟებელიძე.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი .



სტამბა „ეროლა“

— დაბა შვირილაში —

შვირილის რკინის გზის ხიდის პირდაპირ

დებულაბს ეოველგვარ სასტამბო საქმ.

გებქდავთ: ბლანკებს, აფიშებს, განცხადებებს, წიგნებს, ბროშურებს და ეოველგვარ მისაწამ წერალებს: ქარწინებისას, ნათელისას, სამგლავიაროსას და სხვ. აგრეთვე კონტრებისათვის საანგარიშო წიგნებს და წიგნაკებს, კვიტანციებს, იარღიკებს, სადარბაზო პარათებს (გიზ. კარტ.) და სხვ.

აგრეთვე ვაქვს დამზადებული ყველა სასწავლებლ სათვის კლასის ეურნალები და ბილეთები.

საქმეებს გასრულებთ სუფთად და თავის დროზე ძლიერ დაკლებულ ფასებში.

რაშიდაც შეუძლიანთ დარწმუნდენ თვით პატივცემულნი ზაკაზჩიკები.

ადრესი: ვეირილა სტამბა „ეროლა“.

Адресъ: Типогр. „Трудъ“ Каврылы



სამხატვრო სახელოსნო

ა. ი. ყირიაკოვისა. ქ. ქუთაისში.

ღებულობს უოველგვარ სამხატვრო-საეკლესიო საქმევერს. ასრულებს დროზე, სუფთათ, სანიმდოთ და სინდისიერათ.

ფასები ნახატებას ღირსებაზე და ზომაზეა დამოკიდებული და ყოველ შემთხვევაში საშუალოა.

სამხატვროს არაეისტან დამოკიდებულება და კავშირი არ აქვს და ამიტომ ყველას სთხოვს პირადათ მასთან მოიქცენ და არ დაუჯერონ ზოგიერთ ჩარჩ მხატვრებს და მოიჯარადრეებს რომლებიც ჩვენი ფირმის სახელით სარგებლობენ საქმის აღების დროს სოფლებში. სამუშევრს პირობით ვღებულობთ, თუ მოწონებული არ იქნება სასულიერო მთავრობისაგან უკანვე ვიბრუნებთ და სხვას ვასრულებთ იმავე მთავრობის შენიშვნისამებრ.

ჩვენი ფირმა სარგებლობს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის უოველად საძღვდელო **ლეონიდას** ნდობით და კვაქვს მათი მეუფებისაგან შესაფერი მოწმობა.

ადრახი: „შინაური საქმეების“ რედაქცია ან ივანოვის ქუჩა № 14.

„შინაური საქმეების“-ს რედაქციაში იყიდება:

კლასიკის უწვევებები ახალი ფორმისა და ეველა უწვევება (ВЪДОМОСТИ) წლიური საბლადონინო ანგალიშებისათვის. ბლანკები „კმობის“ გამოსცემა და ფულიც მას ეკუთვნის. ფასი ბლანკებისა—რწვეილი 5 კაპ. ვინც ორასზე მეტს დაიბარებს—4 კაპ.

ხვედრი ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Кугаишь, Правленіе религіозно Просвѣтительнаго „братства“.

Ольденбургская д. № 5.